სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 აპრილი, 2025 წ.

ბრძანება N 01-02/74

2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01-08/39 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/104 ბრძანებით), „ბსუ-ს სტუდენტური საგანმანათლებლო/კულტურულ-შემოქმედებითი/სპორტული პროექტის შესრულების პროგრამული და ფინანსური ანგარიშის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის №01-02/105 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის №01-10/49 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 ოქტომბრის №01-10/118 ბრძანებით), „ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის N07-01/69 გადაწყვეტილების, „2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 12 მარტის N01-02/45 ბრძანებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 15 აპრილის N412728 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

   ა) თამარ სირაძე - ბსუ-ს რექტორის მოადგილე (კომისიის თავმჯდომარე);

   ბ) ლევან ტარიელაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);

გ) გოგა ბაუჟაძე - ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სპეციალისტი (კომისიის მდივანი);

დ) გიორგი ქათამაძე - ბსუ-ს ბიზნესის ადმინისტრირების, მენეჯმენტის და მარკეტინგის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი (კომისიის წევრი);

ე) მირზა იაკობაძე - ბსუ-ს შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე (კომისიის წევრი).

2. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის N02 გადაწყვეტილებით (ცვლილება ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2022 წლის 20 აპრილის N07-01/22 გადაწყვეტილებით), „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის N01-08/39 ბრძანების (ცვლილება ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 03 მაისის N01–02/104 ბრძანებით), „ბსუ- სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე" ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის №01-10/49 ბრძანებით (ცვლილება ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2023 წლის 18 ოქტომბრის №01-10/118 ბრძანებით), „ბსუ-ს 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 11 დეკემბრის N07-01/69 გადაწყვეტილებით, „2025 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ ს რექტორის 2025 წლის 12 მარტის N01 02/45 ბრძანებით.

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტსა და კომისიის წევრებს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**